რედაქცია: სოლოლაკზე, ბ-ღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლის—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციცეროთი—5 კაპ., პეტიტ—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დაბეჭდვად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდველი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც შეიძლება მალე გაროასწონ ანგარიში და ხვედრი ფული გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.

## ტელეგრამმები

მორნი-სტუდენი, 15 აგვისტოს მომქმედი არმიის სარდალის ტელეგრამმა: გუშინ და დღეს შიპკოზე ოსმალოები ცოტას ისვროდნენ. ჩვენი ყოჩაღები ისევ თავიანთ ადგილებზედ დგანან. ოსმალოები ჩასაფრდნენ ირგვლივათ მყოფს მთებში და იქიდამ რიგ-რიგად ისვრიან. წყალს ვირით ზიდვენ, საჭმელი, სასმელი თოფის პატრონები და ზარბაზნები ან ხარებით შეაქვსთ და ან ბოლგარიელებს აზიდვინებენ.

ვენა, 15 აგვისტოს. ვენის გაზეთში „Tagblatt"-ში იწერებიან ბელგრადიდამ: როგორც ისმის მართებლობას განზრახვა აქვსო მოიწვიოს სკუპჩინა, რომელმაც უნდა გარდაწყვიტოს—გაერიოს ომში, თუ ისევ ნეიტრალური მდგომარეობა დაიცოს. სამხედრო მზადებას ისევ არ იშლიან.

## ომის ამბები

### ევროპის ბრძოლის ველიდამ

ინგლისურს გაზ. „D. T." დაბეჭდილი 4-ს აგვისტოს ადრიანოპოლიდამ მოსული ტელეგრამმა: სულეიმან-ფაშის არმია ძიელ აჩქარებული გარდადის ბალკანის იქითა მხარეზე. იმისი ირმიის წინა ჯარები თან და თან გაბროვოს უახლოვდებიან. რუსებმა დაცალეს ხაინბუგაზი. შუმლიდამ მომავალმა ოსმალოს კორპუსმა დაამარცხა რუსების ბრიგადა ოსმან ბაზარის წინ და გასწია კარსოვისაკენ. რუსებმა ელენა—ბებროვი და ტრნოვამდინ თითქმის მთელი ადგილები დასცალესო. სულეიმან-ფაშას დიდძალი ახალი ჯარი მოსვლია სტამბოლიდამ. უკელაფრიდამ ჩანს, რომ მას უნდა შეერთება ბალკანის იქითა მხარეზედ მომქმედ ჯარებთან, რომ ასე შეერთებული ძალით ერთბაშათ იერიშით მიადგეს ტრნოვს. ოსმან-ფაშის უმთავრესი კორპუსი ჯერ კიდევ სულ ლოვჩაში დგას, თუმც მისი წინა ჯარები კი ძიელ წინ წაიწიენ ასე, რომ რუსების ჯარებისაგან მოკავებული ადგილები ძიელ შევიწროვებულია

—

— მეჰმედ-ალი-ფაშას, როგორც ვენის გაზეთშიდ „N. F P." სწერენ, შუმლაში 20 ათასიანი გარნიზონი დაუტოვებია.—კორესპონდენტი ამბობს, რომ, ბოლგარიელი ემისარების სიტყვით, ეს გარნიზონი 12 ათას კაცამდინ იქნება შემცირებული, რადგან 8 ათასი კაცი ადარკიის ...

## ფელეტონი

### ერთი დღე მუხა-ესტატეში

(ტურისტის შენიშვნები)

მხოლოდ უბრალო ცნობის—მოყვარეობის დასაკმაყოფილებელად, გასასეირნებლად წაველი; არც, „პატრიატი" მქონია, (რომელსაც ასე გაცხარებით ეძებენ ახლა ჩვენი განათლებული და გაუნათლებელი „ახალგაზდა-მოხუცებულები"), არც სხვა რამ სამხედრო ანუ სამოქალაქო საქმე; მინდოდა მხოლოდ მენახა—თუ როგორ იბრძვიან ხალხნი ერთმანეთში, როგორ ღვრიან სისხლს, რაგვარად არიან მოწინაამდეგე ჯარები ერთმანეთის პირ-დი-პირ დაყენებულნი; მინდოდა მენახა და მეგრძნო—თუ რა „გემო და რა სუნი აქვს თოფის-წამალს" და სროლას ჩემისთანა არა-მეომარ, მშვიდობიან კაცზედ.

აი, მარტო ამ ჩემ წვრიმალ სურვილების დასაკმაყოფილებელად, ავებარგე მე ამ აგვისტოს 8-ს ქუთაისიდამ და გავსწიე ოზურგეთისაკენ, რომ აქედამ მუხა-ესტატეს ბანაკში გადავსულვიყავ.

ქუთაისიდამ ოზურგეთს მიმავალმა, როგორც მოგეხსენებათ, ჯერ რკინის გზით სამტრედიამდინ უნდა მივიდეს; მერე აქედამ ჩვენი დალოცვილი „ტროიკით" ოთხი სტანცია უნდა გაიაროს და, ამ ნაირად, მიბრძანდება გურიის სატახტო ქალაქს ოზურგეთში.

მთელი ეს გზა ჩვენ (ოთხნი ეიყავით ერთად მიმავალნი) მშვიდობით, შეუშფოთებელად გავიარეთ; მხოლოთ უმოწყალოთ გვაწვიმდა ზევიდამ და ქვევიდამ საშინელი ტალახი სულს გვიწუხებდა.

ვისაც ამ ნახევარ წლის განმავალობაში არ უნახავს სამტრედიის სტანცია, ახლა რომ ნახოს, ვერ იცნობს: ისეთი მოძრაობაა, ისეთი ფაცა-ფუცია სხვა-დასხვა წოდების და ხელობის ხალხისა; ყველა კი „ფულის მეძიებლები" არიან, ყველა ესენი ისე დაჰყვებიან ატრიალს, როგორც ტარბი მკალიას. აქ გამართულა სხვა-და-სხვა გვარი საქონლის, ჯარის სურსათისა და თივის და სხვა ამგვარების გადასატან-გადმოსატანი „კანტორები"; უანგარიშო ურმები, დიდ-ძალი ნაირ-ნაირი საქონელი ვაგონებზე და სხვ.

მთელს გზაზედ, სამტრედიიდამ მოყოლებული ოზურგეთამდინ, შეხვდებით ჯარის სურსათითა, საომარ მასალებითა და თივით დატვირთულ ურმებსა და ცხენებს.

მაგრამ ნუ შეუდგებით ამ მოგზაურობისა და მშვიდობიან ხალხის მოძრაობის აღწერას; ეს ხომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ იმერლებს ახლა ფულის მოგების დრო დაუდგათ და ვისაც ცოტა რამ „მოხერხება" აქვს, კიდეც მოიგებს...

9-ს, ნაშუადღევის 2 საათზე ჩვენ მივედით ოზურგეთს.

ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რომ ეს მშვიდობიანი, მიყრუებული ქალაქი ახლა სამხედრო ქალაქად უნდა იყოს გადაქცეული, რადგან ორ ნაბიჯზე იქედამ „ბრძოლის ველი" იწყება

მართლაც, საითაც არ გაიხედავთ, ყველაფერი ომსა და მხედრობას მოგაგონებთ: ზედ ქალაქის თავში დაბანაკებულია რამდენიმე ბატარეია თავის ცხე-

საკენ უნდა გაემგზავრონ, რომ დაუარონ რუსებს და, ყოველის მხრიდამ ერთად მოსვლით, მათი ბანაკებიდამ გააგდონ ისინი. ერთის მხრით, რაზგრადიდამ ეიუბ-ფაშა მოადგებათ, ოსმან ბაზარიდამ—მეჰმედ-ალი-ფაშა, სულეიმან-ფაშა — ყაზანლიკიდამ და ოსმან-ფაშაც—პლევნიდამ.

# საქართველო

## დღიური

*** ჩვენ გვიამბეს შემდეგი შემთხვევა: „ერთს სიღნაღელ გლეხს არზის პირი ჰქონია გამოსატანი აქაურის ოლქის სასამართლოდამ. მოსულა ეს გლეხი სასამართლოში და პირველ პირისარვის, რომელიც მას შეხვედრია, უთხოვნია— ეს საქმე მაქვს და, მიხედეთ თქვენ ღმერთს, მომეხმარეთო. ამ პირს უთქვამს გლეხისათვის, რომ შენთვის საჭირო პირის გარდაღებისათვის სამი აბაზი არის საჭიროო; მომეცი ეს ფული და, ხვალ რომ მოხვალ, პირი მზათ იქნებაო. გლეხს გაჰხარებია, აუღია და მიუცია სამი აბაზი. მეორე დღეს მიდის ოლქის სასამართლოში, იმ იმედით, რომ ქაღალდი მსათ დახვდება.—ეუბნებიან: სამი აბაზი მოიტანე და პირი ეხლავე მზათ იქნებაო.—„ბატონო, შენი ჭირიმე, სამი აბაზი, გუშინ აქ ვიღაც დიდ წვერებიანი და ქალსავით გრძელ კაბიანი კაცი შემხვდა და იმას მივართვი და იმან დამპირდა, რომ დღეს მზათ მექნება ქაღალდი! მაჩვენეთ, თუ შეიძლება, ის კაცი.„—ბევრი ეძებს, მაგრამ სასამართლოს მოსამსახურეებში ქალსავით გრძელ კაბიანი და გრძელ წვერიანი ვერავინ ნახეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს კეთილი სული ვიღაც ტერტერა ყოფილა.“—

აფერუმ..., თუ მართალია, მაგრამ ჩვენ არ ვუჯერებთ ამ ამბავს.

*** ამ ნომერში მკითხველები წაიკითხვენ სტატიის დასაწყისს: „მუცელა და იმის წამლობა“,რომელიც,როგორც დამწერი იწერება ექიმის ბაბოვის სიტყვით და რჩევით არის დაწერილი.— ამ სტატიის დაბეჭდა ამ ჟამად მით უფრო სასარგებლოდ დავინახეთ, რომ თითქმის ჩვენი სამშობლოს ყოველი კუნჭულიდამ მოგვდის საჩივარი იმ სნეულებაზე, რომელზედაც და რომლის წამლობაზედაც ამ სტატიაში არის ლაპარაკი.—ერთს წინანდელს ნომერთაგანში ჩვენ ვანბობდით, რომ ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩვენი ხალხისაგან, სხვათა შორის, საზოგადო უექიმობის საჩივარიც მოგვდის.—ჩვენ ვიმედოვნობთ, რომ ჩვენი მკითხველები ამ სტატიის შინაარს დააკვირდებიან, იმაში მოხსენებულს დარიგებებს მიჰყვებიან კიდეც, რომ იმათთვის აღარ იქნეს უექიმობა ისე საგრძნობელი, როგორც აქამდისინ იყო.—კაცთ მოყვარეობა ყოველს ადამიანს ვალს სდებს, რომ მან კეთილი და სასარგებლო ჰაზრი მდაბალ ხალხში გაავრცელოს, რომელთაც,წერა-კითხვისუსწავლელობის გამო, არ შეუძლიანთ ეს ჰაზრი თავათ შეიტყონ ან გაიგონ.—ამ შემთხვევაშიაც ჩვენს მკითხველებს, ყველას თუ არა, იმისთანებს მაინც, რომელნიც უმთავრესათ ხალხში ტრიალებენ, ვალათ ვსდებთ —ამ სტატიის ჰაზრი ხალხში გაავრცელონ და, ამ ნაირათ,ცოტა შეღავათი მისცენ მათ, ისედაც გაჭირვებულს ყოფა-ცხოვრებას.—

*** გუშინ,17-ს აგვისტოს, დილით შემთხვევით მოგვიხთა გავლა შიოევის სახლების სიახლოვეს, რომელიც ამას წინეთ გამოიწვა. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როდესაც ვნახეთ, რომ ცეცხლი სარდაფის ეტაჟას გუშინაც ეკიდებოდა.— იქვე პოლიციის სალდათი, როგორც გვითხრა, ცეცხლის საქრობ კამანდას უცდიდა, რომ ცეცხლი არ გაძლიერებულიყო, რადგან ცოტა ქარიც ქროდა.— ამას გარდა მივაქცევთ შემდეგს გარემოებაზე ყურადღებას, ვისიც რიგია: შიოევის სახლები, ზედ ბულვარზე იყო, სადაც დღე და ღამის 12 საათამდინ გაუწყნარებელათ მიდი-მოდის ხალხი.— ჩვენ ვანბობდით,რომ სახლები კი არ დამწვარა, არამედ გამოიწვა თქო, ამისათვის მისი კედლები სრულად დარჩნენ და ბალკონებსაც სარძიკვლები რომ, გამოსწვია, ამათი სახურავი და ბოძები კი ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელხალხს ზევიდამდაჰყურებენთითქოსემუქრებიანო-ანაგერჩამოვინ-

---

ნებითა, აუარებელი აფიცრები, დიდ-ძალი რიცხვი მილიციონერებისა და კიდევ უფრო მომეტებული სალდათობა.

ოზურგეთშივე იმყოფება ამ ჟამად მთელი რიონის ატრიადის მთავარ-სარდალი ღენ. მაიორი აგლობჟიო, შტაბი და ამ შტაბის უფროსი პალკოვნიკი ქრაევიჩი, რომელნიც, ამ რამდენიმე დღის შემდეგ, ქუთაისში უნდა გადმოვიდნენ. ქობულეთის ატრიადის სარდალი, ღენ.-მაიორი დენიბეგოვი' და ამის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ყაზიბეგი, მთელი ჯარით, მუხა-ესტატეში არიან დაბანაკებულნი.

თუმცა სამტრედიიდამ ოზურგეთში მოსულები (სულ 55 ვერსი ითვლება) ისეთ ნაირად ვიყავით ტროიკისაგან გალახულები, თუმცა ტროიკამ ისეთნაირად გვქექა, რომ, როგორც ერთმა ჩემმა თანამოგზაურმა სთქვა, სამტრედიას, რომ რამე დაგველია, ოზურგეთამდინ მუცელში ჩინებილი კარაქი გაგვიკეთდებოდაო, თუმცა წვიმისაგანაც ძვლამდინ გაწუწულები ვიყავით, მაგრამ ჩვენი სურვილი, რომ საჩქაროთი მუხა-ესტატე გვენახა, ისეთი ძლიერი იყო, რომ მზათ ვიყავით იმწამსვე წავსულიყავით ოზურგეთიდამ ბანაკში, სადამდინაც 15 ვერსია ცხენის სავალი გზა.

საუბედუროთ, ეს ჩვენი სურვილი ვერ შევასრულეთ, რადგან იმ დღეს მუხა-ესტატეში მიმავალი არავინ იყო და „უაკაზიოთ“ არავის უშვებდნენ: თითქმის დღე არ გაივლის თურმე ისე, რომ ოზურგეთსა და მუხა-ესტატეს შუა არ დახვდნენ მარტოთ, უიარაღოთ მიმავალ ხალხს ქობულეთლები და რაც რომ საქონელი გააჩნიათ და ხან საკუთარი სიცოცხლეც ვერ წაართვან; ჩაჯდებიან გზის ნაპირას, ტყეში უყარაულებენ მოგზაურებს და თუ ვინმე „უაბნად“ დაინახეს, ან თავის საფარიდამ ესვრიან თოფს, ან, თავმოგზაური სულ უიარაღოა, გამოვარდებიან, დაეცემიან, ხშირად თავს გააგდებინებენ, გასცარცვენ და მირბიან.

ამბობენ,ამგვარი შემთხვევა ხშირი იყოვო; მაგრამ ახლა დერვიშ-ფაშამ აუკრძალა ქობულეთელებს ამგვარი „უმიზნო ნადირობა“ და უფრო იშვიათად ხდება უბედურება ამ გზაზედაო. მაგრამ ჩვენი აქაური სამხედრო მთავრობა მაინც გაფრთხილებულია და თუ 6—10 ჩაფარს არ გაატანს (ამას ჰქვიან აქ „აკაზია“), ისე არავის გაუშვებს გზაზედ, ოზურგეთისა და მუხა-ესტატეს შუა. რადგამ მუდამ დღეა ამგვარი „აკაზიები“, ამის გამო ოზურგეთსა და მუხა-ესტატეს შუა მოგზაურ ხალხს ამ მხრით არავითარი დაბრკოლება არ ეძლევა. მაგრამ, საუბედუროთ, ზოგიერთები ამ განკარგულებას არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას და ამ მხნეობისათვის ხშირად სულ ტყვილუბრალოთ თავის თავს სწირავენ.

ჩვენდა ბედად, ქობულეთის შტაბის უფროსი პოლკ. ყაზბეგი, ჩვენ რომ ჩავედით, იმ დროს ოზურგეთს იყო მოსული, რაღაც საქმის გამოისად და მეორე დღეს მუხა-ესტატეში დაბრუნებას აპირებდა,

ამაზე უკეთესს შემთხვევას ჩვენ ვერ ვიპოვნიდით. გადავსწვიტეთ, რომ მეორე დღეს ყველას უნდა გვეშოვნა ცხენები და შტაბის უფროსთან ერთად უნდა წავსულიყავით.

ს. მ.

(გაგრძელება იქნება)

გრევით და გამოგრეჯგვავთო და ან აგერაო.

*** ბუშინ დილით ქალაქში ჩამოიყვანეს ალექსანდროპოლიდამ რამდენიმე კაცი ქაბარდინების პოლკიდამ, რომელთაც ოსმალოებისკენ გარდასვლა უარსთან ნდომებიათ.— ამათ შორის ერთი რუსის სალდათიც, დეზერტირიც (ჯარიდამ გამოქცეული) იყო.—

*** ნახევარ წელიწადზედ მეტი იქნება, ჩვენ არაფელი არა მოგვსვლია-რა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზე და იმის ზედამხედველზე. ეს გარემოება ძრიელ გვიკვირდა, და გვიკვირს, რადგან, წინეთ, როგორც მოგეხსენებათ, „დროებაში" კვირაში ერთხელ მაინც იქნებოდა რამ ხსენებულს სასწავლებელზე და იმის ასავალ-დასავალზე. მართალია, ბევრი იმისთანა ცნობებიც მოგსვლია, რომლების გამჟღავნება, გაზეთის შემწეობით, შეუძლებელი იყო, ხან იმ მიზეზით, რომ ჯორიკანაობათ მიგვაჩნდა და ხან იმიტომაც, რომ პიროვნულის ანუ პირადის მტრობისაგან წარმომდგარნი გვეგონა. ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ, წარმოიდგინეთ, დღეს მოგვდის, ქუთაისიდამ სასულიერო სასწავლებელზე, ერთი წერილი, რომლის დაბეჭვდასაც გაზეთში გვთხოვენ. ეს წერილიც იმისთანა წერილებს ეკუთვნის რომლისთვისაც, როგორც ზეით მოყვანილ წერილებზედ მოგახსენებთ, ჩვენ ადგილის მიცემა გვშურდა ჩვენს გაზეთში.—ამ წერილის ავტორი, მაგალითად — იწერება იმაზედ თუ როგორ წაიკიდნენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელის ზედამხედველის სიდედრი და მის თანაშემწის „ქალებით" (ალბათ ცოლი და ისევ სიდედრი). ეს ვისთვის რა საინტერესოა, თქვენი ჭირიმე?

ამასთან წერილის ავსტორი თავის სახელსა და გვარს არ გვაცნობებს და უმორჩილესად ვთხოვთ მეორეთ ამისთანა წერილები არ გამოგვიგზავნოს.

## მუცელა და იმის წამლობა

ამ დღეებში მე ქუთაისის მაზრაში ვიყავი და მქონდა შემთხვევა მელაპარაკნა დოკტორ ბაბოვთან, რომელსაც ბევრჯელ შეხვდა ამ ზაფხულად, მგზავრობა ქუთაისის მაზრაში (უეზდში), რომ გამოეკვლიათ ერთი ამ ჟამად ჩვენს მხარეში გავრცელებული სნეულობა, რომელსაც „მუცელ კეთილს ან მუცელ კარგს ეძახიან, თუმცა არც „სიკეთის და არც „სიკარგის" ამ სნეულობას არა გააჩნია-რა; ამ დოქტორს შეხვდა ხშირათ აქიმობა ამ გვარ ავათმყოფებისა, ბევრს დარიგებაც მისცა: თუ როგორ აეცდინათ თავიდამ ამ სნეულობის გავრცელება. რადგან ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენი ხალხისთვის ცოდნა ამ დარიგებაებისა, ამისათვის საჭიროთ ვრაცხთ გავავრცელოთ ხალხში ისინი გაზეთის შემწეობით, განსაკუთრებით იმ პირებთათვის, რომელთაც არ შეუძლიანთ, სილარიბის გამო ისარგებლონ თვით მკურნალის შემწეობით. მაგრამ, სანამ ამ დარიგებაების გამოცხადებას შეუდგებოდეთ, არ ვრაცხთ უადგილოთ, გავაცნოთ მკითხველებს ის დაკვირვებაები, რომელნიც დოქტორს ბაბოვს მოუხდენია ქუთაისის უეზდის 11-ს სოფლის საზოგადოებაში, რომლიებშიც ათასზე მეტი მცხოვრებლები ითვლება. დოქტორი ბაბოვის სიტყვით, ეს სენი, რომელიც ამ ჟამად გავრცელებულია ქუთაისის უეზდში და ვრცელდება სხვა უეზდებშიაც, გადამდები „მუცელაა" და რომ ის გადამდებია, სჩანს მით, რომელ ეს სნეულობა პირველათ გამოჩნდა ამ უეზდში მაისის პირველ რიცხვებში, იქიდამ მოკიდებული, ვიდრე ივლისის გასვლამდე ავათმყოფთა რიცხვი ავიდა 2 ათას სამასამდე; ამათგან ათას-ხუთასი სრულებით განთავისუფლდა, ექვსასამდე დღესაც ავათ არიან; ხოლო ასორმოცდა-ათამდე მოკვდა; გარდაცვალებულთა რიცხვში, უმეტესი ნაწილი მოხუცებულები და ბავშვები იყვნენ, ან და წინეთაც სნეულნი სხვა და სხვა ხრონიკული სნეულებითა.

როცა ვინმე გახდებოდა ავათ, რომელიმე სახლობაში, არ შეიძლებოდა, რომ რამოდენიმე სხვებიც არ გამხდარიყვნენ ავათ ამ მავნე სნეულებით იმავე სახლობაში, როგორც დოქტორი ბაბოვი ამბობს, მის გამო, რომ არ მიიღებდნენ არავითარ გიგიენურ და სხვა დამცველ საშუალებაებს სხვა დანარჩენი სახლობის წევრები. წინააღმდეგ ამისა იქ, სადაც მიიღეს გიგიენური და დიეტიკური ზომები, სადაც განავალს მიწაში მარხავდნენ მაშინვე, სიფაქიზეს და საჭმელ სასმელს რიგიანათ ყურს უგდებდნენ, უცებ რჩებოდა ავათმყოფიცა და არც სხვები ხდებოდნენ ავათ; და თუ განავალს ასხამდენ უთავბოლოთ იქ, სადაც მოხდებოდა, სახლში თუ კარში, იქ სნეულობა უწყალოდ გარდადიოდა ერთიდგან მეორეზედ და, როცა მთელს ოჯახს მოედებოდა, იქიდგან მეორე სახლობაში მოიდგამდა ბიჯს და ვრცელდებოდა ოჯახიდამ ოჯახზედ, სოფლიდამ სოფელში, სანამ მთელ უეზდს არ მოედებოდა.

მეორეს მხრით შესანიშნავი დაკვირვება დოქტორი ბაბოვისა ის არის, რომ პირველათ ეს სნეულება ემართება ყოველთვის ბავშვებს არ უმეტეს 15 წლისა და შემდეგ სხვებსაც ...ედება. და პირველათ ყოველთვის იმ პირებს, რომელთაც სასმელ-საჭმელში წესიერება არ იციან, რომელნიც სჭამენ მაგალითებრ: უმწიფარს მსხალს, ვაშლს, ატამს, კორკიმელს და სხვას უზმათ და იმ პირებს, რომელნიც იკვებებიან მარტო ადგილობრივი ყველით და მჭადით, ანუ ღომით. გარდა ამისა დოქტორი ბაბოვი აი რას მოგვითხრობს შესახებ სახლ-კარის და ოჯახობის გიგიენურ მდგომარეობისა იმერეთში. იმის სიტყვით სახლები იმერეთში ძლიერ გიგიენურათ არიან მოწყობილნი: ხის სახლები, იატაკი ხისავე, ანუ მიწისა, (?) სახლები მომაღლოთ ეზოზედ—კარგი პირობაებია სიმრთელის შესანახავათ; მაგრამ ამასთანავე არ არის მოსაწონი ის გარემოება, რომ სახლები, თუმცა ერთი მეორეზედ კარგა მოცილებულნი არიან, მაგრამ ისეთ ნაირად გარს შემორტყმულია ხეხილებით, თუ სხვა მცენარებით, უფრო ხშირად სიმინდის და ღომის ყანებით, ან ვენახეულებით, რომ ჰაერს სრულებით მოძრაობა არ აქვს და გრძნობთ რაღაც სულის შემხუთავს ჰაერს მათ მახლობლათ, რასაკვირველია, ეს გარემოება ყველა სახლებზედ იმერეთში არ ითქმის.... ხშირათ შეხვდებით ისეთნაირ ეზოებს, სადაც მშვენიერი კოინდრის მეტი არაფერი არის დარგული; მაგრამ ამისთანა ეზოებს მაგიერში გარედამ შემოვლებული აქვთ მაღალი ხეები, რომელნიც, არ შეიძლება, რამოდენიმეს, არ უშლიდეს ჰაერის თავისუფალ მოძრაობას. შეხის ადგილი სოფლებში სრულებით არ მოიძებნება. იმის მაგიერათ აქ ხმარობენ ბაღებს, ბოსტნებს, ან სხვა მახლობელ ადგილებს. ზოგიერთ მთის სოფლებში წყაროს წყალი აქვთ ხმარებაში, დანაშთენ სოფლებში კი ჭის წყალი, რომელიც კარგა მოშორებულია სახლ-კარზედ და ამისთვის ფაქიზათ არის შენახული. ეს წყალი სახმარათ ძლიერ კარგია და უვნებელი. ავათმყოფის მოვლა აქ მოკლებულია გულ-შემატკივნელობით.

თუ ვინმე ავათ გახდა ოჯახში, იმას მაშინვე წაიყვაენებენ მეორე სახლში და ცალკე დააწვენენ; და თუ მეორე სახლი არ იშოვება, მაშინ ან ბოსელში, ან და სადმე გარეთ, სასიმინდეს ქვეშ, მომხდარა ხშირათ, რომ მუცელ კეთილიანი ავათმყოფი ტყეში წაუყვანიათ და იქ დაუწვენიათ პირისუფალს, სადაც ავათმყოფსა უცხოვრია სანამ არ მომკვდარა ან არ განთავისუფლებულა სნე-

ულებისაგან. ავათმყოფს მუცელ-კეთილით მხოლოთ ის უვლის იმერეთში ვინც მეტის-მეტათ მისი მახლობელია, მაგალითებრ: დედა, მამა, ან ცოლი და სხვ.

ხშირათ შეხვედრია დოქტორს ბაბოვს ისეთი მაგალითები, რომ დედა ავათ გამხდარა და შვილები მას სიახლოვეს არ მიჰკარებიათ. დიდი შიში აქვთ მცხოვრებლებს ამ სნეულებისა: თუ დაახლოებული არ ვინ ჰყავს საწყალ ავათ მყოფს ის დარჩება უპატრონოთ; შეიძლება გრძელ ჯოხზედ საჭმელიც მოუტანონ და სასმელიცა, მაგრამ სხვა საჭიროებაში კი არ მისცემენ მას არავითარ შემწეობას. თუ მთელი სახლობა ავათ გახდა, მაშინ ძლიერ ხშირათ არავითარი შემწე მას აღარ უჩნდება, ისე იხოცებიან ერთი მეორეზედ. დოქტორ ბაბოვმან მოიყვანა ერთი შემთხვევა, რომელიც მეტის მეტად გულსაკლავია და შავს მურანს ხურავს ჩვენი ხალხის ზნეობას და რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მას ზედ. აი ეს შემთხვევა: მთელი ოჯახი მძიმე ავათ ყოფილა მუცელ-კეთილით; ამ ოჯახს შეადგენდა მამა 50 წლისა, შვილი 25-ისა, ცოლი 40 წლისა, კიდევ შვილი 4 წლისა, გასათხოვარი ქალი 22 წლისა და ყველა ესენი უმოწყალოთ ყრიან ერთ ფაცხაში თავ თავიანთ განავალში ჩაფლულნი და მათარა ჰქონებიათ არავითარი მოვლა არავისგან.

(გაგრძელება შემდეგში)

# განცხადებანი

ინსპეკცია საყმაწვილო ბალისა და ესთან ერთად პირველ დაწყებითი სწავლის შკოლისა (უწინ ჟაბას მეუღლის) ამით აცხადებს, რომ ორთავე სქესისა და ხალხოსნობის გაურჩევლად ყმაწვილების მიღება დაიწყება ამ წლის 20-ს აგვისტოდამ.

იმ ყმაწვილების მშობლები, რომელთაც აქამდისინ თავიანთი შვილები ჟაბას მეუღლესთან ჰყავდათ, თუ რომ მოისურვებენ, შეუძლიანთ ამ 20-ს აგვისტოდამ ხელახლავ ჩასწერონ თავიანთი შვილების სახელი და გვარი საყმაწვილო ბალის და მასთან პირველი დაწყებითი სწავლის შკოლის სიაშიდ.

საყმაწვილო ბალი და პირველ დაწყებით სწავლის შკოლა 1-ს სეკტემბრიდამ გადადის ველიამინოვის ქუჩაზე, თ. ნაპალეონ ამატუნის სახლების ქვედა ეტაჟაში.

ვისაც ჰსურთ შიაბარონ თავიანთი შვილები, ინსპეკცია თხოულობს 1-ს სეკტემბრამდინ მიმართონ—კერძო რეალურ სასწავ. მქონს უ. ტავაკალოვთან, სასწავლებლის სადგომზედვე, რომელიც იმყოფება სადოვის ქუჩაზე, უ. შადინოვის სახლებში, ხოლო 1-ს სეკტემბრიდამ-პირ და პირ საყმაწვილო ბალის და პირველ დაწყებითი სწავლის შკოლის ინსპეკციას თ. ამატუნის სახლებში. (3—3)

დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ

ლექსი

თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის გარდაცვალებაზედ

თავის სურათით

თქმული

დავით ბივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ფასი ყველგან ორი შაური.

---

ბლოვა

ირაკლი მეორისა

თქმული ხალხოსან [illegible]

გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან

ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

ფასი ერთი შაური

---

მეხუთე კარი

# „ქარამანიანი“

გამოვიდა და ისყიდება, ტფილისში: მელიქიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის მაღაზიებში. სპარსულ იდგან ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. ფასი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე ისყიდება ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი ქარამნიანისა.

ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში სვიმონ ჩომახიძესთან.

---

სრული კანონი ვახტანგ მეფისა, გიორგი მეფისა, კათალიკოზისა, ალბულასიბერძნული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქაღალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

---

ისყიდება „ცისკრის“ ნომრები 1857 წლიდამ უკანასკნელ წლამდისინ მხოლოთ ზოგი წლისა სრულად არ არის, ფასი სრული წლის ნომრებისა ექვსი აბაზი და თითო ნომრისა ორი შაური. მსურველს შეუძლია მიმართოს მელიქიშვილის სტამბაში. (6—4)

---

ჰსურთ აიყვანონ ყმაწვილები რომელნიც უნდა იყვნენ სასწავლებელი დაბალი კლასებისთვის მოსამზადებლად: აგრეთვე შეუძლიათ აასრულონ კანტორჩიკობა როგორაც იყოს კანტორა, მამულის გაგეობა. იკითხეთ ენფიანჯიანცის წიგნის ღაზიაში, დიდი პოლიციის ქვეშ.

მ

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაზღვეულის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 აგვისტოს | | |
| ერთი ჰანეთი ლირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 260 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 206 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 206 | 75 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½ | 83 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 9 აგვისტოს | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 20 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | 80 |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 20 |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | 20 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 54 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 25 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 92 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1877 г. Типографія Меликова,* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი